ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
გოჩა სვანიძე – კოლეგიის თავმჯდომარე
სანდრო ჯორბენაძე – კოლეგიის წევრი
გია ტაბლიაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ჟ. გ.
საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 31.10.2014
საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 087/14
ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – მ. ბ. /სიითი #/
საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. ბ-სათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1. 2014 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ჟ. გ-მა და მოითხოვა ადვოკატ მ. ბ–სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2. საჩივრის ავტორის განცხადებით, მან-ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა (ბ.მ.ა.) „"-ის თავმჯდომარემ, ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე, 2012 წლის 17 თებერვლიდან 2014 წლის 17 თებერვლამდე მიანიჭა უფლებამოსილება ადვოკატ მ. ბ-ეს, რათა მას გაეწია იურიდიული მომსახურება და ყოფილიყო წარმომადგენელი ქალაქ თბილისის მერიასა და თბილისის საქალაქო სასამართლოში.

1.3. საჩივრის ავტორის განმარტებით, საქმე ეხებოდა ამხანაგობის წევრის, ა. კ-ის ქმედებას, რომელმაც, ჟ. გ-ის მოსაზრებით, ყალბი კრების ოქმების საფუძველზე, თბილისის არქიტექტურის სამსახურის მეშვეობით მოახდინა 40 (ორმოცი) კვ.მ ავტოფარეხის ლეგალიზება. აღნიშნული ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი, საჩივრის ავტორის განცხადებით, უკანონოდ იქნა გამოცემული და იგი მოითხოვდა აქტის ბათილად ცნობას.

1.4. საჩივრის ავტორის განცხადებით, საჩივარი ადმინისტრაციულმა ორგანომ არ დააკმაყოფილა, ხოლო სასამართლოში საქმის წარმოება ვერ გაგრძელდა ფულადი სახსრების უქონლობის გამო, შესაბამისად, შეწყდა ურთიერთობა ადვოკატ მ. ბ–სთან.

1.5. საჩივრის ავტორის განმარტებით, საქმის განხილვის პროცესში, ადვოკატი სთხოვდა მას ამხანაგობის სამი წევრის საჩივარს თავმჯდომარის წინააღმდეგ და უცხადებდა, რომ ეს საქმისათვის იყო საჭირო. ჟ. გ–ის განცხადებით, მან გარკვეული ხნის შემდეგ გააანალიზა, რომ მ. ბ.-ეს კონკრეტული მიზეზის გამო არ სურდა ამხანაგობის თავმჯდომარის პოსტზე მისი ყოფნა, რადგან იგი 2011 წლის 27 დეკემბრიდან, იყო ამხანაგობის ერთ-ერთი წევრის, ლ გ–ს წარმომადგენელი, ხოლო აღნიშნულ წევრს სურდა შეეცვალა კორპუსის წითელი ხაზები და შემდეგ ავტოფარეხების სახით დაეკანონებინა საერთო საკუთრების ფართები. ეს მიზანი მიღწეულ იქნა ამხანაგობის კრების თავმჯდომარისა და ამხანაგობის წევრთა იგნორირებით.

1.6. საჩივრის ავტორის განცხადებით, მისი სახელით ადვოკატმა მ. ბ–მ მიმართა თბილისის არქიტექტურის სამსახურს, რის შედეგად გამოიცა ბრძანება კორპუსის წითელი ხაზების კორექტირებასთან დაკავშირებით. ჟ. გ–ის განმარტებით, 2012 წლის 31 დეკემბერს კრება ჩაატარა ლ. გ–ს ქალიშვილმა, ხოლო ოქმში აღინიშნა, რომ კრებას ესწრებოდა ამხანაგობის ყველა წევრი, იმ დროს, როდესაც, ამხანაგობის წევრთა უმრავლესობა ადასტურებს, რომ კრებას არ დასწრებია.

1.7. საჩივრის ავტორის განმარტებით, აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები ცნობილი გახდა თბილისის არქიტექტურის სამსახურიდან მასალების გამოთხოვის შედეგად. ჟ. გ. აღნიშნავს, რომ მ. ბ–მ არქიტექტურის სამსახურს მიმართა საჩივრის ავტორის მიერ გაცემული რწმუნებულების საფუძველზე და მიღებული ბრძანება წარადგინა საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის, არაუფლებამოსილი პირის-ლ. გ–ს რწმუნებულებით. შესაბამისად, საჩივრის ავტორის განცხადებით, მ. ბ–მ, ყალბი კრების ოქმებითა და კორექტირებული წითელი ხაზებით დაურეგისტრირა ლ. გ–ს სამი დამხმარე ფართი.

1.8. საჩივრის ავტორის განცხადებით, ა. კ–ს საქმეზე წარმომადგენლობის შემდეგ, მას არ მიუცია ადვოკატისათვის არანაირი მითითება, შესაბამისად, აღნიშნული მოქმედებების განხორციელებისას იგი მოქმედებდა თვითნებურად. ასევე, ჟ. გ–ს მოსაზრებით, ადვოკატმა დაარღვია კანონის მოთხოვნები, როდესაც არ გაუფორმა შეთანხმება მას და არ ასახა დავალების არსი, ჰონორარის რაოდენობა და განსახორციელებელი მოქმედებები, ასევე, მიუხედავად იმისა, რომ გაცემულ მინდობილობას ვადა ჯერ არ ჰქონდა გასული, მ. ბ–ს არ ჰქონდა უფლება ემოქმედა ჟ. გ–ს სახელით, მასთან შეთანხმების გარეშე.

1.9. საჩივრის ავტორის განმარტებით, მ. ბ–ს მასთან ურთიერთობის დაწყებისთანავე უნდა განეცხადებინა უარი წარმომადგენლობაზე, რადგან არსებობდა ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევა, რაც გამოიხატებოდა მისი მოქმედი მარწმუნებლის-ლ. გ–სა და ჟ. გ–ს ინტერესებს შორის არსებულ კონფლიქტში. საჩივრის ავტორის განცხადებით, იგი ამხანაგობის თავმჯდომარედ არჩეულია წევრთა უმრავლესობით, რის გამოც ვალდებულია დაიცვას საერთო ინტერესები, რაც გამოიხატება საერთო საკუთრების სამართლიან განაწილებაში და არა მხოლოდ ლ. გ–ს საკუთრებაში გადაცემაში.

1.10. 2014 წლის 02 დეკემბერს გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა განაცხადა, რომ ადვოკატი მ. ბ. თბილისის მერიაში, ა. კ–ს წინააღმდეგ მიმდინარე

სამართალწარმოებაში წარმოადგენდა ბ.მ.ა. „“-ს, ამხანაგობის თავმჯდომარის რწმუნებულების საფუძველზე. ჟ. გ–ს განმარტებით, მან არ გააუქმა ადვოკატზე გაცემული რწმუნებულება, რადგან მისი მოსაზრებით, მ. ბ. აღარ იმოქმედებდა რწმუნებულებით, რადგან ზეპირი შეთანხმებით, მისი მომსახურება შეწყვეტილი იყო.

1.11. საჩივრის ავტორის განმარტებით, წითელი ხაზების შეცვლისათვის განხორციელებული მოქმედებების შესასრულებლად მ. ბ., ასევე, მოქმედებდა როგორც ბ.მ.ა. „“-ის წარმომადგენელი, ამხანაგობის თავმჯდომარის რწმუნებულების საფუძველზე. ჟ. გ. აღნიშნავს, რომ აღნიშნული ქმედებების განხორციელებისას არსებობდა მ. ბ–ს რწმუნებულის, ლ. გ–ს ოჯახის ინტერესები, რაც გამოიხატა 120 კვ. მ ფართის მითვისებაში.

1.12. საჩივრის ავტორის განცხადებით, კრების ოქმების გაყალბებაში მონაწილეობა აქვს მიღებული ადვოკატ მ. ბ–ს, რის გამოც, განცხადების საფუძველზე, მიმდინარეობს პროკურატურაში საქმისწარმოება.

1.13. 2014 წლის 03 დეკემბერს წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ მ. ბ–ს რწმუნებულება გაუფორმა კორპუსის ქვეშ მდებარე დამხმარე ფართის უკანონო მითვისების საქმეზე მოქალაქე ა. კ–ს მიმართ, შესაბამისად, ა. კ. იყო მისი პროცესუალური მოწინააღმდეგე და ადვოკატს არ მისცემდა მითითებას მისთვის ავტოფარეხის დაკანონების შესახებ.

1.14. საჩივრის ავტორის განმარტებით, არასწორია ადვოკატის მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ ჟ. გ–ს ავტოფარეხის გაფორმების მოთხოვნით მიმართეს იმ ავტოფარეხის მესაკუთრეება, ვინც დარჩნენ წითელი ხაზების გარეშე და ასევე, არასწორია მითითება, რომ ადვოკატმა შეასრულა საჩივრის ავტორის ყოველი დავალება. ჟ. გ–ს განმარტებით, ბ.მ.ა. „“-ის დებულებით, ადვოკატთან სახელშეკრულებო ურთერთობის დაწყების უფლება, ამხანაგობის საერთო საკუთრების საქმეებზე აქვს იმ შემთხვევაში, თუ კრების წევრთა შესაბამისი რაოდენობა განაცხადებს თანხმობას აღნიშნულზე. შესაბამისად, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ რადგან კრებას არ მიუცია მისთვის ეს უფლება, არასწორია ადვოკატის მითითება, რომ ჟ. გ. კრების ოქმებზე ხელმოსაწერად აგზავნიდა ამხანაგობის წევრებს.

1.15. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კლიენტის ინტერესები, თუმცა, მ. ბ–ს ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, რომ იგი იცავდა მისი პროცესუალური მოწინააღმდეგის- ა. კ–ს ინტერესებს. ასევე, ჟ. გ–ს განმარტებით, მას არ ჰქონდა გაცემული რწმუნებულება ადვოკატზე, რომლის მიხედვით მას შეეძლო ამხანაგობის საერთო ქონების განკარგვა და წითელი ხაზების კორექტირება, რადგან ამის უფლება თავად ჟ. გ–ს არ ჰქონდა მინიჭებული.

1.16. საჩივრის ავტორის განმარტებით, არასტაბილურ პიროვნებად მოხსენიება მისთვის პიროვნული შეურაცხყოფაა, ასევე, გასათვალისწინებელია, რომ ადვოკატი მას მხოლოდ ორჯერ შეხვდა და არ არის მისი კორპუსის მაცხოვრებელი, შესაბამისად, არ აქვს ჟ. გ–თან ხშირი ურთიერთობა. საჩივრის ავტორის განცხადებით, მას ადვოკატთან სახელშეკრულებო ურთიერთობა არ დაუწყია წითელი ხაზების საქმესთან დაკავშირებით და, შესაბამისად, იგი არ არის ვალდებული გადაუხადოს ანაზღაურება ადვოკატს სხვის ინდივიდუალურ საქმეებზე, ხოლო ა. კ–ს საქმეზე მ. ბ–ს გადაუხადა 100 (ასი) ლარი.

1.17. 2014 წლის 18 დეკემბერს წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ მ. ბ. ცდილობს ეთიკის კომისიაში მიმდინარე საქმის გაჭიანურებას და სადავო საკითხებიდან ყურადღების გადატანას. ჟ. გ–ს განცხადებით, ადვოკატის ქმედებების შედეგად ზიანი მიადგათ კორპუსის მაცხოვრებლების ინტერესებსაც, ვინაიდან საკუთარი სტადიონი აღმოჩნდა წითელი ხაზების მიღმა.

1.18. მეოთხე დისციპლინური კოლეგიის განხილვის სხდომა გაიმართა 2015 წლის 30 აპრილს. საჩივრის ავტორის განცხადებით, ლ. გ–ს საკუთრებაში არსებული ფართის გვერდზე იდგა ხე, რომლის მოსაჭრელადაც აგროვებდა ხელმოწერებს ლ. გ–ს ოჯახი, ჟ. გ–ს თანხმობის გარეშე. ლ. გ. დავას აწარმოებდა კორპუსის ქვეშ არსებულ ფართზე, რაზეც სჭირდებოდა ამხანაგობის წევრთა ხელმოწერა. ჟ. გ–ს განმარტებით, მ. ბ–ს სახელზე გაფორმებული მისი რწმუნებულების საფუძველზე, მ. ბ–ს მოქმედებების შედეგად ფართი გადავიდა ლ. გ–ს საკუთრებაში და მოხდა წითელი ხაზების კორექტირება.

1.19. საჩივრის ავტორის განმარტებით, მ. ბ–სა და ლ. გ–ს ერთობლივი ქმედებების შედეგად ამხანაგობის საკუთრებაში არსებული სპორტული სტადიონი გადავიდა სახელმწიფოს საკუთრებაში, ხოლო მის სანაცვლოდ ამხანაგობას გადაეცა მიწა ავტოფარეხებისათვის.

1.20. 2015 წლის 05 მაისს წარმოდგენილ წერილობით ახსნა-განმარტებაში საჩივრის ავტორი ეთანხმება მის მიერ წარმოდგენილ წერილობით და ზეპირ ახსნა-განმარტებებს აცხადებს, რომ არ ეთანხმება ადვოკატ მ. ბ–ს პოზიციას, რომელიც, ჟ. გ–ს მოსაზრებით, არ არის გამყარებული მტკიცებულებებით.

1.21. საჩივრის ავტორის განცხადებით, მ. ბ–ს სახელზე გაცემულ რწმუნებულებაში არ არის მითითება, რომ მინდობილობა გაფორმებულია კერძო პირების ავტოფარეხების დასარეგისტრირებლად, როგორც აღნიშნავს ადვოკატი საკუთარ ახსნა-განმარტებაში. ასეთ შემთხვევაში, ჟ. გ–ს განმარტებით, საჭირო იყო ხელშეკრულების გაფორმება, სადაც მოხდებოდა ორმხრივი კონკრეტული ვალდებულების მითითება.

1.22. საჩივრის ავტორის განმარტებით, მ. ბ–ს პოზიცია, რომ ჟ. გ–სა და ლ. გ–ს ეროვნულ ნიადაგზე აქვთ დაპირისპირება, ცილისწამებაა, ვინაიდან საჩივრის ავტორი 2005 წლიდან წარმოადგენს კორპუსის ამხანაგობის თავმჯდომარეს და, მისი განცხადებით, ამ დროის მანძილზე კორპუსში არ მომხდარა დაპირისპირება ეთნიკურ ნიადაგზე.

1.23. 2015 წლის 08 მაისს გამართულ განხილვის კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა განაცხადა, რომ მ. ბ–მ, როგორც ამხანაგობის რწმუნებულმა პირმა სახელმწიფოს გადასცა საკუთრებაში სპორტული სტადიონი, ხოლო სანაცვლოდ ამხანაგობას გადაეცა მიწა ავტოფარეხებისათვის. ჟ. გ–ს განმარტებით, მ. ბ–ს ქმედება გამოიხატა არქიტექტორების ადგილზე მიყვანაში და შემდგომ ნახაზების თბილისის მერიაში წარდგენაში.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1. ადვოკატმა მ. ბ–მ ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2014 წლის 15 ნოემბერს. ადვოკატის განცხადებით, 2012 წლის თებერვალში ჟ. გ–მ დახმარების თხოვნით მიმართა მ. ბ–ს მარწმუნებელს, ლ. გ–ს და აღნიშნა, რომ პრობლემები ჰქონდა ბ.მ.ა. „“-ის წევრებთან ავტოფარეხის დაკანონებასთან დაკავშირებით. ადვოკატის განმარტებით, 2008 წელს საჩივრის ავტორმა მოახდინა კორპუსის საზღვრების დადგენა და საკუთარი ავტოფარეხი №10

მოაქცია კორპუსის წითელ ხაზებში, ხოლო კორპუსის ბინის მესაკუთრეების ავტოფარეხები დატოვა წითელი ხაზების გარეთ.

2.2. ადვოკატის განცხადებით, ა. კ–სათვის ცნობილი იყო, რომ ფარეხი №10 იყო ჟ. გ-ს საკუთრებაში არსებული და არაერთ დოკუმენტზე მოაწერა ხელი აღნიშნული ავტოფარეხის დასაკანონებლად. ადვოკატის განმარტებით, ჟ. გ–ს მიმართეს იმ პირებმა, რომელთა ავტოფარეხები დარჩა წითელი ხაზების გარეთ და მოსთხოვეს მას ავტოფარეხების გაფორმება, რაზეც მან უარი განაცხადა და განაცხადა, რომ ა. კ-მ გააყალბა კრების ოქმები. მ. ბ. უთითებს, რომ საჩივრის ავტორთან იურიდიული მომსახურების შესახებ შეთანხმების ხელშეკრულების საგანი იყო სწორედ ავტოფარეხების საკითხის მოწესრიგება ამხანაგობის წევრებზე, როგორც ა. კ-ს, ასევე, სხვა წევრებისათვის.

2.3. ადვოკატის განმარტებით, მან, როგორც ბ.მ.ა. „“-ს თავმჯდომარის, ჟ. გ-ს წარმომადგენელმა, კეთილსინდისიერად შეასრულა დავალებული მოქმედებები, რის შედეგად მოხდა ავტოფარეხების რეგისტრაცია ამხანაგობის წევრებზე. მ. ბ-ს განცხადებით, ლ. გ-ზე გაფორმდა ერთი ავტოფარეხი და, დამატებით, სხვა პიროვნების ავტოფარეხი, რომელმაც გაასხვისა ქონება და, შესაბამისად, არ იყო ამხანაგობის წევრი. ადვოკატი აღნიშნავს, რომ კრების ოქმებზე ხელმოსაწერად ამხანაგობის წევრებს აგზავნიდა თავად ჟ. გ.

2.4. ადვოკატის განცხადებით, თბილისის მერიაში გამართულ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის პროცესზე დადასტურდა, რომ ა. კ-ს მიერ არ მომხდარა ოქმების გაყალბება, ამიტომ, მ. ბ-მ ურჩია საჩივრის ავტორს არ გაეგრძელებინა დავა სასამართლოში, ხოლო ამხანაგობის სხვა წევრთა მიერ საქმისწარმოების დაწყების ასარიდებლად საჭირო იყო მათთვის ავტოფარეხების დაკანონება წითელი ხაზების კორექტირების საფუძველზე. ადვოკატის განმარტებით, აღნიშნულზე ჟ. გ-მ თანხმობა განაცხადა და არ გააუქმა რწმუნებულება, რის შედეგად, ადვოკატის მოქმედებების მეშვეობით, წითელი ხაზები დაბრუნდა პირვანდელ მდგომარეობაში, ამხანაგობის 11 წევრის ავტოფარეხი მოთავსდა წითელ ხაზებში და საჯარო რეესტრში შეტანილია განცხადება ყველა მესაკუთრის სახელით.

2.5. ადვოკატის განმარტებით, მის მარწმუნებელს, ლ. გ-ს დაურეგისტრირდა ერთი ავტოსადგომი და არა სამი დამხმარე ფართი, ხოლო საცხოვრებელი სახლი, სარდაფი და დამხმარე სათავსო დარეგისტრირებული აქვს პრივატიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე და არა წითელი ხაზების ცვლილების შედეგად.

2.6. ადვოკატის განცხადებით, ჟ. გ. არასტაბილური პიროვნებაა, რაც გამოიხატება მის ურთიერთობაში ამხანაგობის წევრებთან-საჩივრის ავტორი ჯერ აცხადებს თანხმობას, ხელს აწერს და აწერინებს ამხანაგობის სხვა წევრებს, ხოლო შემდეგ იცვლის აზრს. მ. ბ-ს განმარტებით, მან არაერთხელ სთხოვა საჩივრის ავტორს საადვოკატო მომსახურების საფასურის გადახდა, რაზეც ჟ. გ-მ უარი განაცხადა და აღნიშნა, რომ თანხა უნდა გადაიხადონ იმ პირებმა, ვისაც დაუკანონდა ავტოფარეხი.

2.7. დამატებით წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში ადვოკატი ითხოვს 2014 წლის 15 დეკემბერს დანიშნული საპროცესო კოლეგიის სხდომის გადადებას მტკიცებულებების წარმოდგენის მიზნით, ვინაიდან დოკუმენტაცია წარმოსადგენია ადმინისტრაციული ორგანოებიდან და სანოტარო ბიუროებიდან.

2.8. ადვოკატის განმარტებით, მან წარმოადგინა 2014 წლის 08 მაისის 100%-იანი კრების ოქმი, რომელიც ნოტარიულად არის დამოწმებული. მ. ბ-ს განცხადებით, საჩივრის ავტორი უთითებს არასწორ ინფორმაციას, რომ მას არასოდეს გაუგზავნია მ. ბ. კრების ოქმზე ხელმოსაწერად. ადვოკატი უთითებს, რომ წარმოდგენილია ავტოფარეხების მესაკუთრეების მიერ გაცემული რწმუნებულებების ასლები, რომლებიც გაცემულია ავტოფარეხების გაფორმებისათვის და ვიზუალურად ნათლად ჩანს, რომ ჟ. გ-ს მიერ წარმოდგენილ, ავტოფარეხების მესაკუთრეთა ახსნა-განმარტებებზე მათი ხელმოწერა არ არის.

2.9. ეთიკის კომისიის მეოთხე დისციპლინური კოლეგიის განხილვის სხდომა გაიმართა 2015 წლის 30 აპრილს. ადვოკატი მ. ბ. განხილვის სხდომის თარიღის შესახებ ინფორმირების მიუხედავად, საკუთარი სურვილით არ გამოცხადდა და 2015 წლის 24 აპრილს, ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა განმარტება. ადვოკატის განცხადებით, დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში არასწორად არის შეფასებული ფაქტობრივი გარემოებები, ვინაიდან მან, როგორც ჟ. გ-ს წარმომადგენელმა, კეთილსინდისიერად შეასრულა პროფესიული ფუნქციები.

2.10. ადვოკატის განცხადებით, თბილისის მერიაში ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შემდეგ, საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შედეგად, მან ურჩია ჟ. გ-ს, რომ მშვიდობიანი გზით მომხდარიყო ამხანაგობის სხვა წევრებზე ავტოფარეხების დაკანონება, წითელი ხაზების კორექტირების საფუძველზე, რომელშიც არასწორად იყო რეგისტრირებული კორპუსი თექვსმეტსართულიან შენობად, სტადიონი და ა.შ. მ. ბ-ს განმარტებით, მას საჩივრის ავტორი დაეთანხმა და რწმუნებულება არ გააუქმა.

2.11. ადვოკატის განმარტებით, მას არ უსარგებლია ჟ. გ-ს მიერ გაცემული მინდობილობით რომელიმე ორგანოში, გარდა თბილის მერიის იურიდიული და არქიტექტურის სამსახურისა. ადვოკატის განცხადებით, ავტოფარეხების დაკანონებისათვის აუცილებელი ღონისძიებების-აზომვით ნახაზების, ფოტოსურათების და კრების ოქმების სანოტარო წესით დამოწმების საფასური გადაიხადეს ამხანაგობის წევრებმა, რომელთაც საკუთრებაში გადაეცათ ავტოფარეხები. მ. ბ-ს განმარტებით, ყოველივე აღნიშნულის შესახებ ინფორმირებული იყო საჩივრის ავტორი, რომელიც თავადაც იღებდა მონაწილეობას აზომვით სამუშაოების ჩატარებაში.

2.12. ადვოკატის განცხადებით, ჟ. გ-ს მისთვის არც წერილობით და არც ზეპირად არ უცნობებია, რომ მათ შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა წყდებოდა. მ. ბ-ს განმარტებით, საჩივრის ავტორს სურდა ადვოკატს მომსახურება გაეწია სხვა ფართების საკუთრებაში გადაცემის საკითხებთან დაკავშირებითაც, თუმცა, მ. ბ-მ უარი განაცხადა ახალი რწმუნებულების გაფორმებასა და საქმის წარმოებაზე გადატვირთული გრაფიკის გამო.

2.13. ადვოკატის განმარტებით, წითელი ხაზების კორექტირება მოითხოვა არა ლ. გ-მ, არამედ ეს მოითხოვეს ამხანაგობის წევრებმა, ხოლო ჟ. გ-მ აღნიშნულზე თანხმობა განაცხადა და მისი მოთხოვნით მოხდა წითელი ხაზების კორექტირება. მ. ბ-ს განცხადებით, ჟ. გ-ს მიერ გაცემული მინდობილობის მოქმედების პერიოდში, 2012 წლის 17 თებერვლიდან 2014 წლის 17 თებერვლამდე, იგი წარმოადგენდა ლ. გ-ს ინტერესებსაც, თუმცა, ამ პერიოდში, საჩივრის ავტორისა და ლ. გ-ს ინტერესები იყო თანმხვედრი.

2.14. ადვოკატის განცხადებით, 2014 წლის სექტემბერში, ეროვნული შუღლის ნიადაგზე მოხდა დაპირისპირება საჩივრის ავტორსა და ლ. გ-ს შორის. დაპირისპირების საგანს წარმოადგენდა კორპუსის გამწვანებასთან დაკავშირებული საკითი. მ. ბ-ს განმარტებით, ჟ. გ-სა და ლ. გ-ს შორის ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშვა მხოლოდ ამ ფაქტის შემდეგ, 2014 წლის ოქტომბერში, ხოლო ჟ. გ-ს მიერ გაცემული რწმუნებულების მოქმედების ვადა ამოიწურა რამდენიმე თვით ადრე - 2014 წლის 17 თებერვალს.

2.15. ადვოკატის განმარტებით, ჟ. გ-მ მის სახელზე გასცა ზოგადი სახის რწმუნებულება და არ მიუთითა მხოლოდ კონკრეტული საკითხის - ა. კ-ს ქმედებებთან დაკავშირებული საქმის წარმოება, რაც გულისხმობს, რომ საჩივრის ავტორს რწმუნებულება არ გაუცია, როგორც თავად მიუთითებს, მხოლოდ აღნიშნული საქმის საწარმოებლად. მ. ბ–ს განცხადებით, ასევე, საჩივრის ავტორმა უარი განაცხადა საადვოკატო მოსმახურების ხელშეკრულების გაფორმებაზე, სადაც მიეთითებოდა კონკრეტული საკითხი.

2.16. ადვოკატის განცხადებით, იგი ბ.მ.ა. „“ - ის სახელით აღარ მოქმედებდა 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ, ვინაიდან ამხანაგობის წევრებს ჰქონდათ გაფორმებული ინდივიდუალური სახის რწმუნებულებები. მ. ბ–ს განმარტებით, ავტოფარეხების საკითხთან დაკავშირებით ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევა არ არსებობს.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1. 2015 წლის 16 იანვარს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ მ. ბ–ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2. საპროცესო კოლეგიამ განმარტებით, თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა მ. ბ–მ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება შეასრულა არაკეთილსინდისიერად, დაუმალა ჟ. გ–ს გარკვეული ფაქტობრივი გარემოებები, განხორციელებული მოქმედებები და, ამავდროულად, ჟ. გ–ს, როგორც ამხანაგობის თავმჯდომარის წარმომადგენლობას ახორციელებდა იმ დროს, როდესაც იყო მისი საწინააღმდეგო ინტერესების მქონე პირის-ლ. გ–ს რწმუნებული, შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო შემდეგი მუხლები: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი და მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი.

3.3. საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ მ. ბ–მ არ შეასრულა რწმუნებულების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება „რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელოს კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით, მარწმუნებელს მიაწოდოს ცნობები დავალების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, შესრულების შემდეგ კი ჩააბაროს ანგარიში.“ 2011 წლიდან ადვოკატი იყო ლ. გ–ს რწმუნებული, შესაბამისად, იგი წარმოადგენდა ლ. გ–ს ინტერესებს იმ დრომდე და მას შემდეგაც, როცა სახელშეკრულებო ურთიერთობა დაიწყო ჟ. გ–სთან, ხოლო ლ. გ–ს მოთხოვნა იყო წითელი ხაზების კორექტირება. ამის შესახებ ინფორმაცია ადვოკატმა საჩივრის ავტორს არ მიაწოდა ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ. 2012 წლის 31 დეკემბერს, ლ. გ–ს ქალიშვილმა თითქოს ჩაატარა კრება, სადაც თითქოს ესწრებოდა ამხანაგობის წევრთა 100 %. ამ კრების ოქმით მოხდა წითელი ხაზების კორექტირება. საქმეში წარმოდგენილია ამხანაგობის წევრთა განცხადებები, რომ ისინი კრებას არ დასწრებიან და არაფერი იცოდნენ ფარეხების რეგისტრაციაზე. მ. ბ–მ, სავარაუდოდ, შეცდომაში შეიყვანა ჟ. გ.

3.4. საპროცესო კოლეგიის მოსაზრებით, მ. ბ–ს, როგორც ლ. გ–ს რწმუნებულისა და ჟ. გ–ს ინტერესებს შორის არსებობდა კონფლიქტი. ადვოკატის ახსნა-განმარტების მიხედვით, მან ფარეხი დაურეგისტრირა არამარტო ლ. გ–ს, არამედ სხვა პირებსაც, კერძოდ: ჯ. ბ–ს, კ. გ–ს, ლ. კ–ს, მ. ნ–ს, მ. მ–ს, მ. ბ–ს, ნ. ბ–ს, ც. ა–ს, ლ. გ–ს, ხოლო მ. კ–ს ავტოფარეხი გაფორმდა ლ. გ–ს სახელზე, რადგან მ. კ–მ გაასხვისა საცხოვრებელი ქონება და აღარ იყო ამხანაგობის წევრი. თუმცა, საქმეში წარმოდგენილია ამ პირების განცხადებები, რომლის მიხედვით, მათთვის ფარეხების რეგისტრაცია არ მომხდარა. შესაბამისად, საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატმა მ. ბ–მ, სავარაუდოდ, შეცდომაში შეიყვანა საჩივრის ავტორი, არაკეთილსინდისიერად შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და, ასევე, შესაძლოა დაარღვია ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1. ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოება:

ადვოკატი მ. ბ. ერთდროულად წარმოადგენდა ამხანაგობის თავმჯდომარის - ჟ. გ–სა და ამხანაგობის წევრ ლ. გ–ს ინტერესებს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. 2011 წლის 27 დეკემბრის N რწმუნებულება
2. 2012 წლის 17 თებერვლის N რწმუნებულება

4.2. განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ საქმეში შემდეგი სადავო ფაქტობრივი გარემოებაა:

ადვოკატმა ისარგებლა საჩივრის ავტორის რწმუნებულებით, მისი ნებისა და ინტერესების საწინააღმდეგოდ.

განხილვის კოლეგიას მოცემული გარემოება მიაჩნია სადავოდ, რადგან საჩივრის ავტორსა და ადვოკატ მ. ბ–ს განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ მოცემულ გარემოებასთან დაკავშირებით.

ა) საჩივრის ავტორის განმარტებით, მან გარკვეული იურიდიული მოქმედებების შედეგად შეწყვიტა სამართლებრივი ურთიერთობა ადვოკატ მ. ბ–სთან, თუმცა, ფორმალურად არ შეუწყვეტავს არ გაუუქმებია რწმუნებულება. მინდობილობის ძალაში ყოფნით ისარგებლა ადვოკატმა და როგორც ჟ. გ–ს - ამხანაგობის თავმჯდომარის რწმუნებულმა განახორციელა ამხანაგობის წევრ - ლ. გ–ს ინტერესების შესაბამისი მოქმედებები.

ბ) ადვოკატის განცხადებით, იგი წარმოადგენდა ჟ. გ–ს ინტერესებს გაფორმებული რწმუნებულებისა და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. მ. ბ–ს განმარტებით, მან ნაკისრი ვალდებულება შეასრულა კვალიფიციურად და ჟ. გ–ს მითითებების შესაბამისად.

გ) განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, მხარეთა ახსნა-განმარტებებით და მიიჩნევს, რომ საქმის განხილვის ეტაპზე არ დადასტურდა მ. ბ–ს მიერ საჩივრის ავტორის შეცდომაში შეყვანის ან წარმომადგენლობის განხორციელებისას ინფორმაციის მიუწოდებლობის ფაქტი. შესაბამისად, საჩივრის ავტორის ამ მოთხოვნებთან მიმართებით, ადვოკატს არ დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ მ. ბ–ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1. განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ მ. ბ–ს მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმა: ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილი: „ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე.“

6.2. განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ ინტერესთა კონფლიქტის ერთ-ერთ შემთხვევას წარმოადგენს ადვოკატის მიერ ერთ საქმეში რამდენიმე კლიენტის წარმომადგენლობა, თუ აღნიშნული კლიენტების ინტერესები ერთმანეთს არ შეესაბამება.

6.3. ეთიკის კომისიამ 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №015/10 მიუთითა: „კლიენტის ინტერესების დაცვისას თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს და კლიენტის წარმომადგენლობა უნდა განახორციელოს იმგვარად, როგორც კლიენტი იმოქმედებდა საკუთარი ინტერესებისათვის შესაბამისი ცოდნის და დროის არსებობის შემთხვევაში. კლიენტის ინტერესებს შორის კონფლიქტი არსებობს, თუ ადვოკატის მიერ ერთ-ერთი კლიენტისათვის მიცემული რჩევა ან განხორციელებული წარმომადგენლობა ზიანს აყენებს სხვა კლიენტის ინტერესს.“

6.4. ადვოკატმა, გარკვეულ შემთხვევებში უნდა განსაზღვროს როდის არის შესაძლებელი რომ წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტის საფრთხე. ეს არის ადვოკატის პროფესიული რისკი. იმ შემთხვევაში თუ ადვოკატი ხედავს, რომ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოშობის საფრთხე, ეთიკის კოდექსი ავალდებულებს მას შეწყვიტოს პროფესიული ურთიერთობა ორივე კლიენტთან.

6.5. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტი არ არის სახეზე. ასევე, არ მტკიცდება, რომ ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხის წარმოქმნის შესაძლებლობა ადვოკატისათვის შეიძლება ყოფილიყო ცნობილი. უნდა

აღინიშნოს, რომ ინტერესთა კონფლიქტი, მიუხედავად განმცხადებლის დამოკიდებულებისა, არც შემდგომ წარმოშობილა. აღნიშნულის მტკიცების საფუძველს კოლეგიას აძლევს ის გარემოება, რომ ოფიციალური დავა, პრეტენზიები, მიმართული ადვოკატის კლიენტების წინააღმდეგ არ არის დაფიქსირებული. შესაბამისად, როგორც ზემოთ აღინიშნა, ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

6.6. განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ მიუხედავად ინტერესთა კონფლიქტის არარსებობისა მოცემულ საქმეში, ვინაიდან ადვოკატი იცავდა ამხანაგობის ინტერესებს, მან თავი უნდა შეიკავოს იმ პირთა დაცვისაგან, რომლებიც არიან ამხანაგობის წევრები იმის გათვალისწინებით, რომ მათ შესაძლოა ამხანაგობის სხვა წევრებთან წარმოექმნათ ინტერესთა კონფლიქტი. აღსანიშნავია, რომ ადვოკატი არ იყო დაზღვეული იმისაგან, რომ ამხანაგობის წევრთა შორის არ წარმოიშობოდა სადავო სიტუაცია, რაც მას ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის ფაქტის წინაშე დააყენებდა.

6.7. განხილვის კოლეგია ითვალისწინებს საპროცესო კოლეგიის მიერ მითითებულ დისციპლინური დევნის აღძვრის სხვა საფუძვლებს - ადვოკატ მ. ბ–ს მიერ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის შესაძლო დარღვევის საკითხს და განმარტავს, რომ საქმის განხილვის ეტაპზე არ დადასტურდა მ. ბ–ს მიერ საჩივრის ავტორის შეცდომაში შეყვანის ან წარმომადგენლობის განხორციელებისას ინფორმაციის მიუწოდებლობის ფაქტი. შესაბამისად, საჩივრის ავტორის ამ მოთხოვნებთან მიმართებით, ადვოკატს არ დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა.

6.8. განხილვის კოლეგია ითვალისწინებს დისციპლინური გადაცდომის შინაარსს, ხასიათს და მიზანშეწონილად მიაჩნია რეაგირების სახით გამოიყენოს პროპორციული და ადეკვატური ზომა დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების სახით, რომელიც არ არის სახდელი, მიზნად ისახავს ადვოკატისათვის რეკომენდაციის გაცემას, იმავდროულად კი ადვოკატთა კორპორაციის პროფესიული ინტერესის დაცვას, რათა არიდებული იქნეს ადვოკატთა მიერ ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპის დარღვევა სხვა შემთხვევებშიც.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის 1- ლი ნაწილით, მე-8 მუხლის მე–5 ნაწილით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19, მე-20 მუხლებით, 35-ე მუხლით, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ მ. ბ–ს მიმართ /სიითი #/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. კერძო სარეკომენდაციო ბარათი ეგზავნება ადვოკატს, ხოლო ასლი ინახება საქმეში დალუქულ კონვერტში.
3. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.

4. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე საქართველოს უზენაეს სასამართლოში (ქ. თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ. №32) არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გოჩა სვანიძე/

კოლეგიის წევრი: /გია ტაბლიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /სანდრო ჯორბენაძე/